№ 131. 25 ივნისი, ხუთშაბათი. 1866–1881 25 ივნისი, ხუთშაბათი. № 131.

რედაქცია

გალავინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროების-ივერიის“ აგენტთან ბ. ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე | „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| | „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოთ მოთავსებით ასოზე ნახევარი [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, [illegible] და შემოსულებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა
1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ
**დროება**
ცალკე, ღირს — ხუთი მანეთი
**ივერია**
ცალკე, ღირს — სამი მანეთი
ერთად „დროება“ და „ივერია“ 7 მან.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

## ტელეგრამა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 13 ივნისს. გუშინ მველ პეტერგოფის სასახლეში ედინბურღის პრინცს გაუმართეს სადილი.

**სტამბოლი**, 22 ივნისს. ისმის, რომ ყველა დამნაშავეთ, რომელთაც სულთან აბდულ-აზისის მოკვლისათვის სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტეს, ხონთქარი აპატიებსო, სიკვდილის დასჯის მაგიერ ამათ სამუდამოთ გაგზავნიან არაბეთშიო..

**ლონდონი**, 22 ივნისს. ამერიკის შტატების პრეზიდენტი გარფილდი ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ ექიმები არ იმედოვნებენ იმის მორჩენას. იმის დამჭრელი ჭკუიდამ შეშლილი კაცი აღმოჩნდა.

**ვაშინგტონი**, 20 ივნისს. გარფილდი მარჯვენა ხელში და გვერდშია დაჭრილი უკანიდამ, ხეხიმალთან. ექიმები ვერ ბედვენ ტყვიის ამოღებას, რადგან შიგნით სისხლის დენის ეშინიათ. მკვლელი არის ამერიკაში გარდასახლებული ფრანცუზი—გიტო ამბობენ, რომ ის ჭკუა შემცდარიაო. ვიცე პრეზიდენტი არჩერი მოიხმეს ვაშინგტონში.

**მინსკი**, 23 ივნისს. საშინელი ცეცხლია აქ; 500 სახლი უკვე დაიწვა, მთელს ქალაქს მოდებული აქვს ცეცხლი.

**ვაშინგტონი**, 22 ივნისს. გარფილდი ცოტა უკეთ არის.

**ბომბეი**, 22 ივნისს. ეიუბ-ხანი 13 ივნისს გამოვიდა მთელი თავის ჯარით გერატიდამ.

**პეტერბურღის ბირჟა**, 23 ივნისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95 | 50 |
| მეორესი — — — — | 94 | 50 |
| მესამესი — — — — | 94 | $37\frac{1}{2}$ |
| მეოთხესი — — — | 94 | $25\frac{1}{2}$ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 92 | $62\frac{1}{2}$ |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 | 50 |
| ოქრო, $\frac{1}{2}$ იმპერიალი | 7 | 85 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 228 | „ |
| მეორე სესხის — — — | 220 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 — | 6 პენსი |
| ბერლინი — — | 123 — | „ პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 215 — | „ ცენტი |
| პარიჟი — — — | 264 — | 75 სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## სისხლის ღვრა მამულის თაობაზედ

თბილისი, 24 ივნისს.

დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია ახალ-სენაკიდამ მიღებული ერთი ამბავი, რომელიც, სხვა ამგვარი ამბები რო არ ვიცოდეთ, ძნელათ დასაჯერებელი იქნებოდა. ეს ამბავი სწორედ იმ შეტაკებას და ბრძოლას მოგვაგონებს, რომელიც სუფევს ამ ჟამად ირლანდიაში ადგილობრივ მემამულეებსა და იმათ მოიჯარადრებს (ხიზნებს) შორის.

მოგვყავს საქმის გარემოება:

„ხუთი კვირა გადის, რაც ჩვენში გაცხარებული, სამხედრო ხელოვნების-დაგვარად, სროლა არის გახაღებული. ამ სროლაში არიან მოკლულები და დაჭრილები. ნუ იფიქრებთ, რომ ეს ამბავი სადმე მიყრუებულს ადგილას ხდებოდეს; არა, ეს ხდება აბაშის სტანციის ერთ ნახევარ ვერსის სიშორეზე, სენაკის მაზრაში.

„ერთის მხრით არის: თ. ივანე მიქელაძე თავის მომხრეებით და მეორეს მხრით სოფლების ონტოფოს, კოპანას და ხაშის მცხოვრებნი გლეხნი და აზნაურნი.

„აი საქმის გარემოება:

„აღნიშნულ ადგილას არის მამული კოდორა, რომელიც რამდენსამე ასს ქცევას სახნავ მიწას შეიცავს. ამ მამულს ჰფლობს თ. ივანე მიქელაძე გრამატით 1819 წლიდამ, ესე იგი 62 წელიწადი. თ. მიქელაძე ამ მამულს ზემოხსენებულ სოფლების გლეხებს იჯარით აძლევდა.

„ამ ჟამად გლეხებმა განიზრახეს ამ მამულის დასაკუთრება იმ იმედით, რომ

---

«დროების» ფელტონი, 25 ივნისს.

## ელგუჯა

(მოთხრობა*)

გათენდა დილა და მზის სხივებმა ოქროს გვირგვინი დადგეს ყირვანწვერს.

გაიღვიძა დაძინებულმა სოფელმა, ხალხმა დაიწყო მოძრაობა; სოფელთან ერთად გაგის სახლშიაც ადგნენ. დედა-კაცებმა გაიგეს ჩერქეზის ქალის ტყვედ მოყვანა და ერთი ჩურჩული გამართეს ამ შემთხვევის შესახებ. ყველას უნდოდა ჩქარა ენახათ ტყვე, ჩქარა შეეტყოთ იმის ვინაობა, თავგადასავალი. ბოლოს შემოვიდა ერთი ბიჭი, მოიტანა კლიტე და გადასცა დედა-კაცებს.

— გაგიმა აიქავ საწოლაში ქალია არისო და ის გამოიყვანეთო, უთხრა იმან.

— ვინა ის ქალი? მართლა ჩერქეზია?... რამდენის წლისაა? ლამაზია თუ არა? მოსცვივდნენ აქეთ-იქით დედა-კაცები.

— აბა რაი ვიცი, მეც არ მინახავს... კარგათ მოუარეთო გაგიმა.

— გაგი რაიღა იქნა? ჰკითხა ვილაცამ.

— გაგის კაცი რაიმე მოუვიდა და გათენებისას ხევსურეთს წავიდა.

— რაისათვი წავიდოდა?

— კარგიათ-ღა, გახეთდე იმ ქალსა მშიერი იქნება.... გააწყვეტინა ლაპარაკი დიასახლისმა. წადი-ღა ჯაჯალავ, წაიღე კლიტე და გამოიყვანე.

ჯაჯალა იყო უნცროსი ამ სახლში და ამისათვის ყველას შეეძლო იმის ბძანება და იმასაც უნდა აესრულებინა სხვების სურვილი. თუნდა ასეც არა ყოფილიყო, ის დიდის სიხარულით წავიდოდა და გამოიყვანდა ტყვეს, ემსახურებოდა იმას და ყოველის ღონის ძიებით ეცდებოდა იმის ნუგეშობას, რადგანაც თითონ ჯაჯანაც ასეთივე ტყვის ქალი იყო და იმას ახსოვდა თავის დედის ნაამბობი ტყვის მდგომარეობაზედ და იმის გულის მოძრაობაზედ. იმან იცოდა და ცოტა ოდენი ჩერქეზული, რომელიც დედამ დაასწავლა.

ჯაჯალას შესვლაზედ ტყვე შეკრთა და მაშინათვე ფეხზედ წამოხტა. ჯაჯალა მივიდა, საჩქაროდ დასვა ისევ და თანაგრძნობით დაუწყო ლაპარაკი.

— იჯე, იჯე! ღალალული იქნები, უთხრა იმან ჩერქეზულათ.

ჩერქეზის ქალმა გაიკვირა თავის ქვეყნის ენის გაგონება და სიხარულით წარმოსთქვა:

— მაშ აქაც ლაპარაკობენ ჩერქეზულათ?

— რად არა!... ჰაი, ჰაი-რო, ლაპარაკობენ... შენ ნუ გეშინიან, აქაც ისეთივე კაცები არიან, როგორც ჩერქეზში.

— მაშ არ მაწვალებენ, არ მომკვლენ?

— ბედ-შაო, განა ურჯულოები ვართ?... შენ ნუ გეშინიან.

— მე კი ისე შემაშინა წუხელ ერთმა კაცმა... ისეთი შეხედულებისა იყო, ისეთი თვალები ჰქონდა, რომ კინაღამ გულს შემომეყარა.... თუ ის ყმაწვილი ბიჭი დროზედ არ შემოსულიყო, უთუოდ მომკლავდა.

ჯაჯალა მიხვდა, რომ ამ ქალის შემშინებელი გაგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყმაწვილი ბიჭი ვინა იყო ვერ მოეაზრა.

— შენ ჩერქეზი ხარ? ჰკითხა ჯაჯალამ.

— ჩერქეზი ვარ.

— დედა ჩემიც ჩერქეზი იყო!...

— მართლა?...

— მართლა... ისაც შენსავით იყო მოტაცებული...... სახელად რაიღა გქვიან?

— მზაღო. *)

— პური არ გშიან?

— არა.

— წავიდეთ, შეჭამე რამე, თორემ ეგრე გული გადაგელევა.

— სად წავიდეთ?

— ჩვენ დედა-კაცებთან.

ამ სიტყვებით ისინი გამოვიდნენ და წავიდნენ სამყოფო სახლში *), სადაც დედა-კაცები მიეხვივნენ ახლათ მოსულს ჩერქეზის ქალს და თავით ფეხებამდინ დაუწყეს შინჯვა, თითქო ადამიანს პირველათა ხედავდნენ.

ბოლოს ყველანი დამშვიდნენ, დაადგენ თავ-თავიანთ საქმეს და მზაღევზედ ზრუნვა კი ჯაჯალას მიანდვეს.

მზაღევს უკვირდა, რომ აქამდის არსადა ჩანდა ის ყმაწვილი ბიჭი, რომელიც ისე მოეწონა, რომელმაც ისე მოულოდნელათ გულში ცეცხლი ჩაუგდო. იქნება ისე სწრაფად განქრა ელგუჯას სიყვარული, როგორც სწრაფად დაიბადა? ამაზედ უნდოდა ელაპარაკნა ვისთანმე, მაგრამ ვერა ჰბედავდა, ვერავის ენდობოდა... ის მახინჯი თვალებ-ჩასისხლიანებული გაგი რაღა იქნა? ფიქრობდა ის, თუმცა კი ამის მოუსვლელობა ახარებდა.

გაგიმ და ელგუჯამ ძლივს მოასწრეს გამოსვლა სახლიდგან, რამწამს ერთი ცხენოსანი მოადგა გაგის გალავნის კარებს, ჩამოხტა საჩქაროთ, მოვიდა სახლის პატრონთან და შეატყობინა მთიულეთ-გუდამაყრელების

---

*) იხ. „დროება“ № 127.

*) ჩერქეზში ხშირათ არქმევენ ქალებს სახელათ „მზის შუქს“, „მთვარის შუქს“, „ნათელას“ და სხვა. „მზაღო“ ნიშნავს მთვარის შუქს.

*) სამყოფო სახლი—ჯალაბობის საერთო სახლი.

თუ თ. მიქელაძე იჩივლებს, მოწმეებს ჰკითხვენ და, რადგანაც მოწმეებათ ისევ ჩვენი მხრის ხალხს დანიშნვენ, საქმეს ჩვენ მოვიგებთო (?). მაგრამ თ. მიქელაძე არ გაება ამ მახეში. როდესაც გლეხები მოვიდნენ ამ მამულში სამუშაოდ, თ. მიქელაძემ ჯერ გაათრთხილა ისინი და მერე თოფებ[ი] დაუშინა, რომლითაც რამდენიმე კაცი დასჭრა.

„რამდენიმე დღის შემდეგ სამასი დაიარაღებული გლეხი თავს დაეცა ამ მამულში, თხრილებში, გამაგრებულს თ. მიქელაძის კაცებსა და შეიქნა გაცხარებული სროლა. ნახევარი საათი იყო სროლა. ოთხი კაცი მოკვდა და რამდენიმე დაიჭრა.

„ბოლოს 15 ამ თვეს თ. მიქელაძეს ხუთასი კაცი დაესხა თავს და ხელ-ახლად შეიქნა სროლა. მიქელაძის მხრით არავინ არ არის მოკლული; გლეხების მხრით კი კიდევ რამდენიმე კაცი მოკვდა და და რამდენიმე დაიჭრა.

ასე აგვიწერს ამ საადგილ-მამულო ბრძოლას „კავკაზის“ კორრესპონდენტი.

როგორც ეტყობა, ეს კორრესპონდენცია თავადისაგან (ივ. მიქელაძის მომხრისაგან) დაწერილი უნდა იყოს, ამიტომ ყველაფერში გლეხები გამოდიან მტყუანნი, სხვისი მიწის დასაკუთრებაც იმათ მოუნდომებიათ, პირველადაც ისინი დასხმიან თავს თავად და სხვ. მაგრამ, რადგან ნამდვილი ამბავი—თუ ვინ არის დამნაშავე და ვინ მტყუანი—ჯერ არ გაგვიგია, ამაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ. საქმე იმაშია, რომ, ადგილ-მამულის დავის გამო, თავადსა და გლეხებს შუა მთელი ბრძოლა გამართულა, თოფიარაღით გამოსულან ბრძოლის ველზედ და სისხლი დაღვრილა.

პირველი არ არის ამისთანა საქმეების გამო სისხლის-ღვრა ჩვენში და პირველი არ არის, რომ ამ გვარს გარემოებაზე ჩვენ ყურადღება მიგვიქცევია. ქვლავაც გვითქვამს და ახლაც იმას ვამბობთ, რომ, სანამ ადგილ-მამულების საქმის განსაზღვრას, გამოკვლევას, სანამ ყველა სადავო ადგილების გამიჯვნას არ მოვესწრებით, მანამ ამ გვარი შეტაკება და სისხლის-ღვრა ყოველთვის მოსალოდნელია. თითქმის ერთს მემამულესაც ვერ ნახავთ ჩვენში, რომელიც მშვიდობიანად ჰფლობდეს თავის უძრავ ქონებას, რომელიც დარწმუნებული იყოს, რომ ხვალ იმას რომელიმე მეზობელი ან სულ გარეშე პირი არ წამოედავება და ამ მამა-პაპურ მამულის წართმევას არ მოუნდომებს, უბრალო საჩივარში და ხარჯში არ შეიყვანს, ათრევს სასამართლოებში.

რა მეურნეობა შეიძლება ამისთანა მდგომარეობაში? რა წარმატება უნდა მიეცეს სოფლის ხალხის ცხოვრებას, როდესაც არ იცის—იმას ერგება ხვალ თავის ოფლით ნაშრომი ან მამა-პაპთგან დარჩენილი ადგილ-მამული, თუ არა?

მაგრამ სანამ გამიჯვნასა და ადგილ-მამულების გარკვევას მოვესწრობოდეთ, მანამ ადმინისტრაციისა და მომრიგებელ შუამავლების (მიროვოი პოსრედნიკების) მოვალეობაა, რომ იმისთანა შეტაკება და სისხლის-ღვრა ააცილონ ხალხს თავიდამ, როგორიც ზემოთ არის აწერილი. ხუთი დღე იყო ბრძოლაო, იწერება კორრესპონდენტი, და ნუთუ ამ ხუთის დღის განმავლობაში ახალ-სენაკის მაზრის უფროსმა ბ. გ. ბებურიშვილმა, რომელიც ასე მხნეთ ერევა სხვის საქმეში, და ადგილობრივ მიროვოი პოსრედნიკმა ხმაც არ ამოიღეს? რატომ, ჩაგონებით, ტკბილი სიტყვით და რჩევით თუ არა გაუვიდათ-რა, ძალით არ გაჰფანტეს ეს ბრძოლის ველზედ გამოსული ხალხი! სად იყო ბ. გ. ბებურიშვილი ამ ხუთის დღის განმავლობაში, როდესაც იმის მაზრაში რამდენიმე სოფლის დაიარაღებული ხალხი ერთმანეთის სისხლს ღვრიდნენ? თავის კეთილ-შეძენილ ქუთაისის მაღაზიებს უვლიდა, თუ თავის სამწყსო მაზრის გლეხებისაგან განჩინებებს აგროვებდა იმის თაობაზედ, რომ ჩვენ სამშობლო ენა არ გვინდაო?

რასაკვირველია, ადმინისტრაცია და მომრიგებელი შუამავლები ვერ მოსპობენ ჩვენში სამიწა-წყლო დავებს, ეს კანონისა, სასამართლოს და გამიჯვნის კამისიის საქმეა; მაგრამ ადმინისტრაციის არსებობა მაშინ მაინც უნდა ამოჩენილიყო, როდესაც ათას კაცამდინ ბრძოლის ველზე გამოსულა, თოფის სროლა გამართულა და ადამიანის სისხლი დაღვრილა...

### ახალი ამბები.

ბათომიდამ გვწერენ, რომ ქობულეთის მაზრის უფროსი, რომელზედაც ამას წინათ ჩვენს გაზეთში რამდენიმე სიტყვა იყო მოხსენებული, გამოდის სამსახურიდამ და იმის ნაცვლად ახალი ღუბერნატორი ბათომისა ღენ.-მაიორი [illegible] ვიღაც აფიცერს ნიშნავსო, რომელმანც არც ქართული იცის, არც თათრულიო.

* * *

გაზ. „კავკასიის კურიერის“ სიტყვით, ბათომის ახალი ღუბერნატორი შუამდგომლობს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ადგილობრივ ავაზაკების გასასამართლებლად სამხედრო სასამართლო დაწესდეს ბათომში.

ავაზაკობისა და ცუდ-კაცობის მოსასპობელად რომ სამხედრო სასამართლოები კმაროდეს, დედა-მიწაზედ ახლა ერთი ავაზაკიც აღარ იქნებოდა...

* * *

ამავე გაზეთში იწერებიან სიღნაღიდამ, რომ ამ თვის 12-ს ბბ. ქორიძესა და მესხიევს გაუმართავთ იქ კონცერტი, რომელზედაც ბ-ნ ქორიძეს, სხვათა შორის ქართული სიმღერები უმღერია, მესხიევს კი კომიკური კუპლეტები უთქვამს. საზოგადოებას ორივე დიდის აღტაცებით მიუღია.

* * *

პეტერბურღიდამ გვწერენ, რომ, უწმინდესის სინოდის გარდაწყვეტილებით, ვლადიკავკასში განსაკუთრებული საეპისკოპოსო კათედრა დაწესდება, რომელსაც მოზდოკიც შეუერთდება და ეს კათედრა იმავე დამოკიდებულებაში იქნება საქართველოს ეგზარხოსთან, როგორც იმერეთისა და გურიის საეპისკოპოსო კათედრები არიანო, ე. ი. უწმინდეს სინოდ-

---

არეულობა, რომელთაც რუსები ემწყვდიათ მთიულეთის ჭალებში და სადაც საჩქაროთ იბარებდნენ იმას, როგორც ერთს ხევის ხალხის მოთავეს. იქ მთიულები*) შეყრილიყვნენ, ბატონიშვილის ალექსანდრეს თაოსნობით, რათა წინააღუდგომოდნენ რუსების მოძრაობას. ზაგიმ იმ ღამესვე გასწია იქითკენ და ელგუჯაც თან წაიყვანა.

აი ეს იყო მიზეზი, რომ ელგუჯამ შორიდგან მაინც ველარ გადაჰკრა თვალი თავის შეუდარებელს ჩერქეზის ქალს, რომელმაც, მთის მდინარეებსავით, აუჩუხჩუხა სისხლი.

ზაზედ ელგუჯა ჰფიქრობდა თავის მშვენიერს მზალევზედ და გულში ყოველგვარს ლანძღვას უგზავნიდა მთიულებს, ასე უდროოთ არეულობისათვის: ელგუჯა მიდიოდა გზაზედ, მაგრამ გული-კი შინ დარჩენოდა. იქამდისინ შეეპყრო იმის გონება იმ ქალს, რომ ათას საშუალებას ეძებდა შინ დაბრუნებისათვის... ბოლოს, გადასწყვიტა, რომ ის დიაცსავით იქცევა და იმ დროს, როდესაც იმის მოძმეები საერთო მტერთან შებმას აპირებენ, ის შინისაკენ იწევს, საყვარელს ქალთან საარშიყოთ. ის ვაჟკაცისათვის შესარცხვენათ უყურებდა ამისთანა დროს ტოლ-სწორების და საქმის თავის მორიდებას და შინ მყუდროებაში მოფარებას... „კაცი ვარ, ქუდი მხურავს, წავალ ვაჟკაცობას გამოვიჩენ, ვისახელებ თავს და სამსახურს გაუწევ თემობას. როცა შინ მშვიდობით დავბრუნდებით, მაშინ ვითხოვ ზაგისაგან იმ ქალს და ისიც მომცემს“?

ელგუჯას არ გაუმართლდა იმედი: მცხარე ბრძოლის მაგიერათ, ხალხი საჩქაროთ დაამშვიდა, სხვა-და-სხვა საჩუქრებით, მეორე მთაში ძალის მქონებელმა მებატონემ და ზაგის ელგუჯასთან ერდად შინ დაბრუნება მოუხდა.

ამ დროს საქართველოში მოემატა კიდევ რუსის ჯარები, რომელთაც საჭირო ადგილები და სოფლები დაიჭირეს და იქამდინ გაამაგრეს, რომ ყოველივე მოძრაობა მთის ხალხისაგან შეუძლებელი შეიქნა.

ზაგიმ დაინახა თავისი მდგომარეობა, დაინახა საითკენ უფრო სასარგებლო იყო იმისთვის და გადადგა რუსებისაკენ, რომლისათვისაც მისცეს აფიცრობა.

ეს ყველა ისე საჩქაროთ მოხდა და ისეთი მღელვარება და მდგომარეობა იყო მაშინ საქართველოში, რომ ყველას დაავიწყდა თავიანთი პირადი საქმე და მოვალეობა. რასაკვირველია, ზაგისაც არ ასცდა ესევე მდგომარეობა, რომელმაც გადაადებინა, თუ გადაავიწყა თავისი პირუტყული გულის-თქმა ტყვის შესახებ. ამის მიზეზით ელგუჯას დარჩა თავისუფალი დრო მზალოსთან არშიყობისა და ისიც სარგებლობდა, რამდენათაც ენის უცოდნელობა ნებას აძლევდა.

ჯაჯალა, რომელიც თარჯიმანობდა შეყვარებულებს შუა, და მზალვე დამეგობრდნენ ისე რიგად, რომ დამალული აღარა ჰქონდათ-რა. რასაკვირველია, არც ელგუჯასთან იყო იმათი საიდუმლო დაფარული. შეყვარებულებმა გარდასწყვიტეს, რომ ელგუჯამ უნდა ითხოვოს მზალვე, მისცეს, რაც უნდა ურვათი სთხოვოს ზაგიმ და, თუ ვინიცობაა, ეს უკანასკნელი არ დაჰყაბულდა, მაშინ ელგუჯა მოიტაცებდა თავის სატრფოს.

ასე მიდიოდა დღეები, კვირები და საქმე როგორღაც ვერა ბოლოვდებოდა, ზაგის იქ უყოფნელობის გამო, რომელსაც ჩააბარეს რამდენიმე ჯარის კაცი და დაეგზეკუციათ ჰგზავნიდნენ სხვა-და-სხვა დამნაშავე მთის ხალხის ადგილებში. ამისათვის ის შინ მოსასვლელად ველარ იცლიდა და ელგუჯას ვერ მოესწრო იმასთან მოლაპარაკება.

ერთს მთვარიანს საღამოს, როდესაც მთელი მოხევეები სათიბათ იყვნენ გასულნი, ზაგის მთიბლებსაც დაენთოთ ცეცხლი, შემოეკიდნათ ქვაბით საკლავი (ცხვარი) და ვახშამს ამზადებდნენ. მთიბელი დედაკაცები და კაცები შემოსხდომოდნენ გარშემო არა-ჩვეულებრივი მხიარულის სახეებით და ელოდნენ იმის მომზადებას. რაღაცა წარმოუთქმელი გრძნობა გამოითქმოდა იმათ პირი-სახეებზედ. ყველა ამ ხალხს ჯერ კიდევ ვერ გამოერკვიათ, თუ რა მომავალი მოელისთ ახალის შემთხვეების გამო, და ამისთვის ძრწოლით მოელოდნენ მომავალს, რომელშიაც ხედავდნენ, მართლათ თუ უსამართლოთ, სხვა ხალხისაგან, სხვა გვარტომობისაგან თავიანთ თავზე ძალის მოტანას, გაბატონებას. ამ აზრის გავრცელებას ეხმარებოდა მაშინდელი ზოგიერთი ჩინოვნიკების ველური და პირუტყული ქცევა.

რა თქმა უნდა, რომ ამ მთაებში ახალი ტყვეც ერია. ეს გამოსულიყო განაპირებით და დაღონებულის თვალებით გასცქეროდა ყირვან-წვერს, რომელსაც მთვარის შუქი დაზდგომოდა და მშვენიერს ფერათ შეეცვალა დილის სურათი.

ხალხი დასხდა ვახშამზედ, დაუძახეს მზალვესაც. ის იყო კერძებს აწყობდნენ ჯამებში, როდესაც ცელი მხარზედ გადადებული, ერთი მთიბელი მოვიდა, რომელმაც შესძახა:

*) საზოგადოთ ჩვენს ლიტერატურაში შეცდომით მთის ხალხს მთიულებათ უწოდებენ, მაშინ, როდესაც ჩვენს საქართველოში მხოლოდ ერთს მაზრასა ჰქვიან მთიულეთი და შიგ მცხოვრებს—მთიულები.

თან მიწერ-მოწერა ექზარხოსის საშუალებით ექნებათო.

***

სომხ. გაზ. „მშაკში“ დაბეჭდილია სტატია იმ ყრილობის თაობაზე, რომელიც წელს შემოდგომაზე ექნებათ თფილისში სომხის სკოლებისა და საშუალ სასწავლებელთა მასწავლებლებს. გაზეთი ამბობს, კარგი იქნებაო, შევადგინოთ ისეთი საზოგადოება, რომელიც სომხის მასწავლებლებს დაეხმარება, როგორც მატერიალურად, აგრეთვე ზნეობით და გონებით გაუმჯობესობაშიო.

—

**შეცდომა.** № 124 ის მეორე წინა სტატიაში („აჯამეთის ტყე“) პირველ გვერდზე, მეოთხე სვეტში შეცდომით არის დაბეჭდილი **წელიწადში** ან ასი თუმანი, უნდა იყოს ათასი თუმანი და სხვ. ამ სტატიის ბოლოს მოწერილი აქვს ასო Ლ. უნდა იყოს Ლ.

## წერილი რედაქტორთან.

—

ძოველი პაწია ჭკუის და სუსტი ხასიათის აუცილებელი თვისება ის არის, რომ როცა იმას მსჯელობაში საბუთი ან მოაზრება შემოელევა, მაშინვე გამწარებულ ლანძღვას სტაცებს ხელს, თითქო გინებით მოაზრების დარღვევა შეიძლებოდეს. ეს თვისება ეტყობა ორპირელ პედაგოგს, ბ. ადამ ვასილიევს. ჩემი პატარა წერილის წინააღმდეგ იმას მოუგროვებია ერთი გოდორი ლანძღვა, როგორც, მაგალითად, ყბედი, შურიანი, ენა-ტანია და სხვ. და ეს იარაღი გამოუსტყორცნია ჩემზედ ორპირიდამ.

ლანძღვა და გინება ადვილი საქმეა, მსჯელობა გინებაზედ რომ იყოს დამყარებული, ჩვენი კინტოები პირველ ფილოსოფოსებად გამოდგებოდენ. მაგრამ ამ გვარი იარაღი, საზოგადოთ, მარტო უკანა სცემს, და ჰკლავს იმათ, ვინც მათი ხმარება იკადრა.

გადავიდეთ ჩვენი პოლემიკის უფრო საკადრის მხარეებისკენ.

ბატონი ადამ ვასილიევი ბრძანებს: „ამაზედ ერთის მხრით მამართლებს მე მარნის სოფლის მასწავლებელი კაპანაძე მე-№ 113-ში მის მიერ დაბეჭდილის სტატიითა და მეორეს მხრით კი მამაგებს, რომ, რასაც ღებულობს, ისიც ტყვილად მიაქვსო, სწავლის ნაცვლად, ბავშვები მახინჯდებიან იმის ხელში ზნეობითაც და გონებითაც.

„მიკვირს ბ. კაპანაძისაგან—რა იფიქრა მაშინ, როდესაც ეს დაწერა: მე მაგინებს მარტო, თუ მთელს ორპირის საზოგადოებას?“

თქვენ, ბ. ვასილიევო, ისეთ თავგამოდებით ლაპარაკობთ, თითქო თქვენის უვარგისობის ჩვენებით მე მთელი ორპირის საზოგადოებისათვის შეურაცხყოფა მიმეყენებინოს და ცდილობთ, თავის გამართლების მაგიერათ, მთელი ორპირის საზოგადოება მიილოთ თქვენს, ვითომც, ძლიერს საფარს ქვეშ. კარგი ხერხია საკუთრის უძლურების მისამალავათ, მაგრამ თქვენთვის ერთობ გამოუდეგარია. სად თქვენ და სად ორპირის საზოგადოება? ორპირის საზოგადოებას თქვენთან საერთო სრულებით არა აქვს-რა, მით უმეტეს, რომ იმათი შვილები ახლა თქვენ სკოლაში არ სწავლობენ და არც შემდეგ ისწავლიან. უწინ გყავდათ იმათი შვილები, მაგრამ რადგან ვერ გამოჩნდით საქმის მცოდნე და მუყაითი, ამიტომ ახლა თავი დაგანებეს.

„მე ადრე მოვშორდი სკაპცებსა და სჯულიერის მეუღლითა ვარ ცოდიანიო“, ამბობს ერთ ალაგას ბ. ვასილიევი.

ჩემი სტატიის დაწერის მიზანი სრულებით ის არ იყო, რომ თქვენ სკაპეცი ბრძანდებით. არა; ჩემთვის სულ ერთია სკაპეცი, თათარი, ლეკი, ოსი და სხ. საქმე იმაშია, რომ თქვენ სკოლაში სწავლა პირველ-შობილი ადამის პლანზედა მიდის და ამისათვის ბავშვები, სწავლის ნაცვლად, მახინჯდებიან გონებითაც, ზნეობითაც და ფიზიკურათაც. შეიძლება ადამსაც იმიტომ გეძახდენ, რომ ადამის წესს მისდევთ.

„იყო დროო, განაგრძობს ბ. ვასილიევი, არ ვკადრულობდი ასე კაპეიკებით ნაშოვარს ფულს, როდესაც ვმსახურებდი აგენტსტვოში თვეში ორმოც-და-ათ მანეთად. იყო დრო, პოლკოვნიკების შვილები მყოლია შაგირდათ, რომელნიც გიმნაზიაში სახელოვანათ მიუღიათ და ჩემზედ საყვედური არავის უთქვამს და ვერც იტყვის მტერის მეტი და მტერნი ჩემზედ უკეთესზედაც ბევრს უბედობენ; მაგრამ ღვთის-მოყვარე კაცი ესეთს ტყუილებს არ მიიღებს მხედველობაში“ და სხვ.

სად პედაგოგი და სად აგენტსტვოს—საბაჟო ჩინოვნიკებმა? რომელმა პოლკოვნიკებმა შეგაბარეს სასწავლოთ შენ შვილები და როდის მიიღეს ისინი გიმნაზიაში სახელოვანად? თუ მაგისთანა მასწავლებელი ბძანდებით, აბა, დღესაც გეყოლება შაგირდათ პოლკოვნიკების (!) შვილები, რომლებიდგანაც ფულების აღება ბლომათ შეგიძლიათ, და რაღას ნანობთ ორპირის საბაჟოში მწერლათ ყოფნას?

თქვენი სწავლა მაგონებს ერთს ძველებურ გარდამდგარს სალდათს, რომელიც გარეთ მინდორში ასწავლიდა ბავშვებს ძველებურის ვამოთქმით და ყოველი ანბანის განმეორების შემდეგ, ყმაწვილებს თავის ქებას და რეკრუტობის ანბავს მოუყვებოდა ხოლმე.

თავის გასამართებლად ბ. ვასილიევი ამბობს რომ ახლანდელ დროში იმისთანა არავინა არისო, რომ ავი და კარგი არ ესმოდეს,—შვილი უფუჭდება თუ უკეთდება—ვერ ატყობდესო.

ეს არაფერი თავის გამართლებაა ამიტომ, რომ გონებით დამშეული ხალხი ღვაძლსაც კარგათ მიეტანება, როცა პური არსაიდამ ეძლევა.

ვისაც კი ცოტაოდენათ ესმის ბავშვის გონების კანონი, იგი ადვილათ მიხვდება, რომ იმ გვარათ სწავლის წაყვანა, როგორც ბ. ვასილიევს მიჰყავს, ბუნების წინააღმდეგია და ბავშვებს, გინდ ისინი გენიოსებიც იყვნენ, ტვინს უწყალებს და გონებას უსახიჩრებს. რა სიკეთე გამოვა იმ

---

— გამარჯვება თქვენს საქმესა.

— გაღღეგრძელოს ღმერთმა, უპასუხეს სტუმარს და მოიწვიეს ვახშამზე.

— გადმოხე, აქ გადმოხე! ადგილი მისცეს ელგუჯას.

საზოგადოთ მთაში ამ გვარს შემთხვევებში ერთი მეორისგან თავს არ ივიწროებს და მარტო-მუშა თავისუფლათ მიდის მეზობელ მუშებთან, დროებას ატარებს და პურსა სჭამს. ელგუჯა კი გაგის მთიბლებს კარგათ იცნობდა, რადგანაც იმათთან ერთი სოფლელი იყო და ამას გარდა თავის ყარაულობაში ხშირათ დადიოდა გაგის სახლში.

ვახშმის ჭამის შემდეგ, როცა ყველანი მიწვენ-მოწვნენ და ღრმა ძილში შევიდნენ, ელგუჯა გაცურდა იმ მხარისკენ, სადაც მზალვე იწვა.

ელგუჯას მისვლაზედ იმან წამოჰყო თავი, მაგრამ რაკი იცნო, ხმა გაკმინდა. ელგუჯამ ანიშნა, რომ ის გაჰყოლოდა იმას და წყნარა, პარვით გასწიეს ბურაზული ტყისაკენ, რომელიც იქვე ახლო-მახლო იწყებოდა.

გაჩუმებულნი, სულ-განაბულნი და ხმა-გაკმენდილნი მიდიოდნენ, როგორც უსულო მოჩვენებანი, ვიდრე ტყეში შევიდოდნენ; მაგრამ რა კი ტყის სიხშირემ დაჰფარა ისინი და სხვის თვალი ველარ მისწვდებოდა, ელგუჯა ერთბაშათ გამოუბრუნდა ქალს, მოხვია ძლიერ მკლავები, ჩაიკრა გულში და დაუწყო კოცნა... ეხლა თითო-ოროლა სიტყვა ესწავლა მზალვეს ქართულათ და ეს აძლევდა იმათ საშუალებას, უმოწმოთ ეთქვათ ერთმანერთისათვის თავიანთი გულის პასუხი, თავიანთი გულის მოძრაობა.

პირველის ტრფიალების შემდეგ, ელგუჯამ ოხვრით და მწუხარებით გამოუცხადა, რომ გაგის შუა-კაცი გაუგზავნა მზალვეს სათხოვრად, მაგრამ გაგიმ უარი გამოუცხადა და ახლა სხვა საშუალებას აღარა ხედავს, რომ გაიტაცოს მზალვე. ბოლოს დაუმატა:

— რას იტყვი შენა?.. წამომყვები, თუ არა?

— მე ჩემი თავი შენთვის მომიცია, წამიყვანე საცა გინდა...

— თუშებში უნდა გაგიყვანო.

— სადაც გინდა.

— რომ მოგწყინდეს, მაშინ რაღასა იქ?

— ჩვენი მხრის ქალებს ძნელათ შეუყვარდებათ, მაგრამ ვინც შეუყვარდებათ, ის იმის მბრძანებელია!.. მიბრძანე, რაც გინდა.

ამ სიტყვებზედ ელგუჯამ გატაცებულის კოცნით უპასუხა:

— მე ყველაფერი მოვამზადე... აქ ტყეში მყავს ცხენები და იარაღი დამალული... გუდამაყრის ხეობაზედ ვერ წავალთ, იქ გზებიც შეკრულია და ვიწრო ხეობაც არის, მთიულეთზედ უნდა წავიდეთ.

— ეგ შენ იცი.

— მაშ ნულარ ვიგვიანებთ, ჩემო მზეო.

— შენ იცი.

— ხომ არ გეშინიან, არა?

— შენთან?.. ისეთის ხმით უპასუხა, რომ ელგუჯას შერცხვა.

ამ სიტყვებზედ ელგუჯამ სამჯერ წყნარად, მაგრამ ხანგრძლივ, დაუშტვინა. ცოტა ხანმა გაიარა და იმათ წინ მოულოდნელათ ერთი ყმაწვილი შეიარაღებული ბიჭი გადმოჰხტა.

— გიორგი, შენა?

— ჰო, მე ვარ.

— იარაღი რაი უყავ?

— აი აქაა! უპასუხა ახალ მოსულმა და მიაწოდა ერთი ხელი იარაღი.

— ცხენები?

— ცხენებიც, აიქ არის, უთხრა გიორგიმ და ანიშნა იქვე ხშირს ტყეზედ.

— მაშ წადი მოიყვანე.

გიორგი ცხენებისათვის წავიდა, ელგუჯა-კი წყნარა, ჩუმათ და პირმოკუმილი იჭურვებოდა. აშკარათა სჩანდა, რომ იმას გარდაეწყვიტა ადვილათ არავისთვის დაენებებინა თავისი მშვენიერი მზალვე და თუ გზაში ვინმე გადაელობებოდა, მაშინ იაფათ არ დაუსვამდა ამ თავხედობას.

მოვიდა გიორგი, მოიყვანა ცხენები, რომლებზედაც შესხდნენ.

როდესაც ყველანი მზათ იყვნენ წასასვლელად, ელგუჯა მიუბრუნდა გიორგის:

— გიორგი!

— რა გინდა.

— მე, საჭირ-საბოროტო გზას დავადექ, მაი, შენ დაბრუნდი შინა.

— რას ანბობ? გაიკვირვა იმან.

— ვინ იცის, რაი შემემთხვას, შენ რაისათვის-ღა უნდა გაიფუჭო თავი?

— ძმათ განა იმად გაეფიცულვარ, რომ ეგენი მითხრა? გულნაკლულათ უპასუხა გიორგიმ.—კარგია-ღა, იარე, დროს, ნულარა ვკარგამთ.

— მაშ მოდიხარ?

— მო... სადაც შენ მოჰკვდები, მეც იქ უნდა მოვკვდე.

— შენ იცი! უპასუხა იმან და მოიხადა ქუდი.

— ღმერთო, დიდებულო წვერისა, სპარსთა ანგელოზო! შენ მოგვიმართე ხელი, შენი წყალობა გაგვატანე! წარმოსთქვა ელგუჯამ.

— ღმერთო, უადგილო-ადგილას მოჰკითხე ამხანაგის მოღალატეს, დაუმატა გიორგიმ.

— ამინ, იყო ორთავესგან ერთათ წარმოთქმული.

კიდევ რამოდენიმე წუთი ასე ქუდმოხდილები დარჩნენ და ჩუმათ ევედრებოდნენ იქაურს ხატ-ანგელოზებს და ამ ვედრებაში იყო რაღაცა დიდებული, რაღაცა მუქარა, რაღაცა იმედი და ნუგეში.

ბოლოს ორთავე ქუდები დაიხურეს.

— დაგვიძეხ! დასძახა ელგუჯამ.

გიორგიმ შემოჰკრა ცხენს მათრახი, იმას გაჰყვა მზალვე და ბოლოს ელგუჯა.

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

მასწავლებლისაგან, რომელიც შესვლისათანავე ქართველ ბავშვს რუსულს ენაზედ რამდენიმე ლოცვებს ჩაუკუჩნავს თავში ძველთაგან-უძველესას სამ კაპიკიანის წიგნიდგან, რომელიც იქა-აქ კიდევ მოიპოვება ზოგიერთა დუქნებში და ოჯახებში?!

მარნის სოფლის მასწავლებელი
იასონ კაპანაძე.

21 ივნისს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ქმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი — შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი — ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუზარიანცი და შტემბორსკი — რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათი** გავრონსკი — ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუზარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობის; ბასუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი — შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუზარიანცი 2-რე — ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრუხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

# განცხადებანი

**თბილისის სამოქალაქო გამგეობაში,** დილის 9 საათ. ნაშუადღევის 1 საათამდის, მიიღება ხელის მოწერით შესაწირავი მოსკოვის კრემლში ძეგლის ასაგებათ მიცვალებულის, ნეტარ-ხსენებულის და საუკუნოდ სადიდებელათ ღირსეულის ხელმწიფის **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძის** სახელობაზედ. 3—1

---

**იყიდება** საკრავი მაშინა, ორი საცვალით, თექვსმეტი იტალიური სხვა-და-სხვა ხმებით, დიდი კაკლის საათიანი შკაფით. ადრესი: ჩუღურეთი, ტუზოვის სახლი № 27. (3—1)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავჭანას გიარები. (100—89)

---

**სოფლისათვის** მოსახურავები 4 მან.; დასაკეცი კრესლოები 2 მ. და 50 კაპ. და კრაოტები 8 მანეთიდამ; სკამიანი ჯოხები 4 მან., ლამაკები 14 მან., კრესლოიანი კრავატები 10 მანეთიდამ; ბაკლები 15 კაპ. ექსტრაქტი-ყავა, კაკაო, თოფები, რევოლვერები, პირის-სახოცები, საწერი მასალეები, კალმები, და სხვ. და სხვ.
**ინგლისის მაღაზიაში.**
(10—2)

---

**სიყვარულის კონა.**

ლექსები, კომედია და დალისტნელი ლეკის ამბავი, თხუზულება დიმიტრი ნადირაძისა. დაიბეჭდა და ისყიდება ქქ. თბილისს, ქუთაისს, გორს, სიღნაღს და თელავს წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყველგან ერთი აბაზი.
(5—2).

**ინგლისის მაღაზიაში**

---

არწრუნის გალლერეიაში

*(Maison de confiance)*

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა — უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—8)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

**მოსახურავი** 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ., ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. [...]7)

---

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფიადნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...
(100—90)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—73)

---

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბოლაზეი 1 მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—8)

---

**ისყიდება ინგლისის მაღაზიაში**

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და წყურვილისაგან ლეპიოშკები, ტივებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ.
(15—9)

---

ჩარკვიანის და ამხ.

# წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუხრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს კონსტინიცის პირდა-პირ № 15. 5—5

---

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**დედა-ენა** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო სკოლებში სახმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია ოცზედ მეტი ახალი ხალხური მოთხრობა და ლექსი; ახალი ანდაზები და გამოცანები, შესწორებული შინაარსი და ენა სტატიებისა და რამდენიმე ახალი სურათი არის ჩართული. ისყიდება გამომცემლის ბრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი ხუთშაურათ დაეთმობათ სახალხო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდიან ნაღდს ფულზედ ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და კერძოპირებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემპლიარსა.

**ბუნების კარი** ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა შევსებული ახალი სტატიებით და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტით; ფასი თხუთმეტი შაური. ისყიდება ვარ...ანოვთან და სხვა წიგნების მაღაზიებშიაც. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც თხუთეტს ეგზემპლიარს ერთათ ნაღდს ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი ყდაში ჩასმული მიიღოს, წიგნის ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც **დედა-ენა,** ისე **ბუნების კარი** მოწონებილნი არიან (**рекомендованы**) და სახელმძღვანელოდ დადებულნი პეტერბურღის მსწავლულთა კამიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით.
(10—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 І[...] Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი
[...] თავიანთი [...]